

ივან რობლეს მენენდესი

სალამანკის უნივერსიტეტი (ესპანეთი)

ivrobles@usal.es

არაბულენოვანი საზოგადოებები აზიაში: მიგრაცია, მრავალენოვნება და იდენტობა XXI საუკუნეში

რეზიუმე

არაბული ენა ხშირად ასოცირდება ახლო აღმოსავლეთთან და ჩრდილოეთ აფრიკასთან, თუმცა მისი გავლენა ბევრად აღემატება ამ რეგიონებს და ვრცელდება სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაშიც, სადაც ის არა მხოლოდ ისლამის წმინდა ენაა, არამედ განათლების, მიგრაციის თანმხლებ და კულტურათა შორის კომუნიკაციის საშუალებადაც გამოიყენება. ნაშრომში განხილულია არაბულენოვანი საზოგადოებები ინდოეთში, მალაიზიასა და ინდონეზიაში - რეგიონებში, სადაც ღრმადია ფესვგადგმული ისლამური ტრადიციები. დასავლურ სოციოლოგიურ და ლინგვისტურ კვლევებში არაბული ხშირად განიხილება ისლამური იდენტობის მნიშვნელოვან ნაწილად. ფართომასშტაბიანი ვაჭრობა, სასულიერო პილიგრიმოზა და ტრანსნაციონალური განათლება ამას ხელს უწყობს. XXI საუკუნეში თავისმხრივ ახალი დინამიკა შემოიტანა - გაიზარდა არაბული მიგრაცია, გაფართოვდა ისლამური მედია და არაბულის შესწავლის მიმართ ინტერესი. ეს პროცესები ასახავს არაბულის მრავალფუნქციურ როლს თანამედროვე სამყაროში.

საკვანძო სიტყვები: არაბული ენა, მრავალენოვნება, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია, მიგრაცია, ისლამური იდენტობა.

სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში არაბული დამკვირდა ისლამის ადრეულ საუკუნეებში ისლამურ დაპყრობით ომებთან ერთად. უნდა აღინიშნოს ამ მხრივ საზღვაო ვაჭრობა და სუფიური მისიონერული მოძრაობები. VIII საუკუნისათვის არაბი ვაჭრები ინდოეთის დასავლურ სანაპიროზე, მათ შორის გუჯარათსა და ქერალაში, ძალზე ადრე გამოჩნდნენ და შექმნეს სავაჭრო და რელიგიური კავშირები, რამაც საფუძველი ჩაუყარა გამძლე მუსლიმურ საზოგადოებებს (Jacobsen 2009, 15-18). XIII საუკუნემდე არაბული იქცა რელიგიური სწავლების ენად დღევანდელ ინდონეზიასა და მალაიზიაში, რამაც ხელი შეუწყო იემენიდან არაბთა გავლენას (Mhd Omar and Najid 2022, 171-180).

ჰადრამავტში (სამხრეთ იემენი) ჩამოყალიბებული დიასპორა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა არაბული ენისა და კულტურის გავრცელებაში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ისინი წარმოადგენდნენ რელიგიურ და პოლიტიკურ ელიტას, არაბულს კი კულტურული დანიშნულებით და სასწავლო ენად იყენებდნენ (Mobini-Kesheh 1999, 17-23). მათ შთამომავლებს დღესაც აქვთ არაბული გვარები და გენეალოგიები (Jacobsen 2009, 15-18).

ბრიტანელებისა და ჰოლანდიელების მიერ გატარებული კოლონიური საგანმანათლებლო რეფორმები ხშირად არაბულს ფორმალურ სასწავლო გეგმებში ძალაუფლებურად მოიზარებდა. თუმცა არაბული მაინც ინარჩუნებდა პრესტიჟს ისლამურ სასწავლო დაწესებულებებში (მადრასები) და ტრანსკონტინენტალურ სასწავლო ქსელებში (Azra 2004, 9). სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან სტუდენტები ხშირად მიემგზავრებოდნენ მექაში, მედი-

ნასა და კაიროში, სადაც ისინი არაბულს მეორე ენად სწავლობდნენ და ხშირად სამშობლოში რელიგიური ავტორიტეტების რანგში ბრუნდებოდნენ (Ryding 2014, 141-142).

ეს ისტორიული კონტექსტი აუცილებელია რეგიონში დღევანდელ მრავალენოვან მოსახლეობაში არაბული ენის მრავალშრიანი და ხშირად სიმბოლური სტატუსის გასაგებად.

XXI საუკუნემ შემოიტანა ახალი მიგრაციული მოდელები, რამაც მოახდინა არაბულენოვანი მოსახლეობის გაჩენა სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. თანამედროვე პირობებში გადმოსახლება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული: განათლება, დიპლომატიური მისია, რეგიონობრივი ბიზნესი და, ზოგიერთ შემთხვევაში, იძულებითი გადაადგილება.

არაბულენოვანი საზოგადოებები მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალაქებში, როგორც კუალა-ლუმპური და ფენანგი. ამას ხელი შეუწყო ქვეყნის რეპუტაციამ როგორც მუსლიმური განათლების ცენტრმა, რომელიც სთავაზობს მაღალი ხარისხის ცოდნას ინგლისურ და არაბულ ენებზე (Mhd Omar and Najid 2022, 171-180).

ინდოეთში არაბულენოვანი მიგრანტები რაოდენობით ნაკლებია, თუმცა მათი ყოფნა მაინც შესამჩნევია ჰაიდარაბადში, მუმბაიში და დელიში. ისინი მუშაობენ რელიგიურ ინსტრუქტორებად, არაბული ენის მასწავლებლებად ან სპარსეთის ყურის ქვეყნებში დაფუძნებული კომპანიების თანამშრომლებად (Mukherjee 2016, 5-12).

არაბულენოვანი მიგრანტები ერთიანდებიან ტრანსნაციონალური საზოგადოებების შემადგენლობაში, სადაც არაბული გამოიყენება *lingua franca*-ს ფუნქციით.

ამგვარად აზიაში წარმოიქმნება არაბულენოვანი სივრცეები. ეს არის ე.წ. „ტრანსლოკალური არაბული“, რომელიც რთულად ურთიერთქმედებს ადგილობრივ ენოვან ეკოსისტემასთან (Albirini 2016, 8-11).

მაღაიზიაში არაბული ენა ისლამური განათლების ფარგლებში ინსტიტუციური მხარდაჭერით სარგებლობს. ეროვნული სასწავლო გეგმა არაბულ ენას სავალდებულო საგნად მოიცავს ისლამურ რელიგიურ სკოლებში, ხოლო სახელმწიფო უნივერსიტეტები არაბულ ენასა და ლიტერატურაში ხარისხს სთავაზობენ (Mhd Omar and Najid 2022, 171-180).

ინდოეთში არაბული კლასიფიცირებულია, როგორც უცხო ენა და შეზღუდული სახელმწიფო მხარდაჭერა აქვს. თუმცა, რამდენიმე მედრესე და კერძო დაწესებულება აგრძელებს არაბული ენის სწავლებას, განსაკუთრებით მუსლიმი უმრავლესობით დასახლებულ რეგიონებში, როგორცაა უტარ-პრადეში, კერალა და ჰაიდარაბადი (Mukherjee 2016, 5-12).

ენობრივი პოლიტიკით დაწესებული შეზღუდვების მიუხედავად, არაბული ინარჩუნებს მყარ პოზიციას. განსაკუთრებით იმ კონტექსტებში, სადაც ისლამი იკვეთება ეროვნულ იდენტობასთან. მაღაიზიასა და ინდონეზიაში არაბულ დამწერლობას აქვს კულტურული პრესტიჟი და გამოიყენება რელიგიურ წარწერებში, აბრებსა და საზეიმო დოკუმენტებში, მიუხედავად იმისა, რომ ცოტა ადამიანს შეუძლია მისი თავისუფლად წაკითხვა ან გაგება (Mobini-Kesheh 1999, 128-137). ეს ასახავს იმას, რასაც რაიდინგი (Ryding 2014) არაბული ენის „იდეოლოგიზაციას“ უწოდებს, ანუ სადაც ენა ნაკლებად ფუნქციონირებს როგორც კომუნიკაციური ინსტრუმენტი და უფრო მეტად როგორც რელიგიური და მორალური ავტორიტეტის აღმნიშვნელი (Ryding 2014, 7-9).

მიუხედავად ამისა, არაბული მაინც დინამიკურ როლს თამაშობს მრავალენოვანი იდენტობების ჩამოყალიბებაში, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობების გარემოცვაში. ისინი მეტყველების დროს მიზანმიმართულად ცვლიან კოდს და მაღაურიდან გადადიან არაბულზე, ინგლისურზე.

არაბულ-ინდონეზიელი ოჯახების წევრებმა შესაძლოა თავი არაბებად წარმოაჩინონ, მიუხედავად საზოგადოებრივი და ენობრივი ასიმილაციისა ინდონეზიურ კულტურაში. ასეთი იდენტობები აღდგენილია არა ენობრივი, არამედ გენეალოგიური ბიოლოგიის საფუძველზე: მათი აზრით არაბული ენის დაკარგვა არ ნიშნავს არაბული იდენტობის გაქრობას. იგი შესაძლოა შენარჩუნებული იყოს ნათესაობით, რელიგიური ფაქტორით ან რიტუალებით.

ამგვარად, ქვეყნების ენობრივი პოლიტიკის ჩარჩოებში არაბულს ხშირად უთმობენ მხოლოდ რელიგიური სწავლების ფუნქციას, რითაც უგულებელყოფენ მის მრავალმხრივ პოტენციალს. მიუხედავად ამისა, არაბული განაგრძობს არსებობას არაფორმალური სწავლებით, პოპულარული კულტურითა და ინდივიდების მრავალფეროვანი გამოვლინებებით, რომლებიც ამ ენას იყენებენ, რათა საკუთარი თავი განსაზღვრონ ფართო მუსლიმურ ქსელებში.

დასასრულს, არაბული ენა აზიაში არ უნდა განვიხილოთ, როგორც მეორეხარისხოვანი ან უცხოური იმპორტი, არამედ როგორც რეგიონის ისტორიულ და თანამედროვე ქსოვილში ჩაქსოვილი ცოცხალი ძაფი. მისი ადგილის გააზრება მრავალენოვან და მულტიკულტურულ საზოგადოებებში, როგორიცაა ინდოეთი, მალაიზია და ინდონეზია, არა მხოლოდ ეჭვქვეშ აყენებს არაბულ სოციოლინგვისტიკაში დომინანტურ ნარატივებს, არამედ ახალ გზებს ხსნის იმის შესასწავლად, თუ როგორ იკვეთება ენა, იდენტობა და მობილურობა გლობალურ სამხრეთში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Albirini, Abdulkafi. 2016. *Modern Arabic Sociolinguistics: Diglossia, Variation, Codeswitching, Attitudes and Identity*. 1st ed. London: Routledge. <https://doi.org/10.4324/9781315683737>.
- Azra, Azyumardi. 2004. *The Origins of Islamic Reformism in Southeast Asia: Networks of Malay-Indonesian and Middle Eastern 'Ulama' in the Seventeenth and Eighteenth Centuries*. Honolulu: University of Hawai'i Press.
- Jacobsen, Frode F. 2009. *Hadrami Arabs in Present-Day Indonesia: An Indonesia-Oriented Group with an Arab Signature*. London and New York: Routledge.
- Mhd Omar, Mohd Faridh Hafez, and Mohamad Hafizuddin Mohamed Najid. 2022. "Redefining Da'wah Activisms and Approaches through Social Media Platforms: A Case Study in Malaysia During Pandemic Covid-19." *Proceedings International Seminar Da'wah and Communication 2022*, Universitas Islam Negeri Alauddin Makassar: 170-189.
- Mobini-Kesheh, Natalie. 1999. *The Hadrami Awakening: Community and Identity in the Netherlands East Indies, 1900-1942*. Ithaca, NY: Cornell University Press.
- Mukherjee, Anushyama. 2016. *An Experiential Account of an Ethnography of Barkas: An Arabian Colony in Hyderabad*. GRFDT Research Monograph Series, no. 13. GRFDT. https://www.grfdtonline.com/Upload/Publication/7065_Anushyama.pdf.
- Ryding, Karin C. 2014. *Arabic: A Linguistic Introduction*. Cambridge: Cambridge University Press.